ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოს სხდომა

სხდომის ოქმი
18.05.2015

სხდომის გახსნა და მისალმება

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა თეა წულუკიანმა, გახსნა სხდომა და მადლობა გადაუხადა ყველა უწყებას ვინც მონაწილეობა მიიღო სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. საბჭოს თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა ბოლო დროს საქრთველოში წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით მიღწეულ პროგრესზე. კერძოდ, აღინიშნა, რომ 2012 წლის ნოემბრიდან დღემდე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მორიგება ან ცალმხირვი დეკლარაცია გაკეთდა საქართველოს წინააღმდეგ შესულ 40 საჩივარზე, რომლებიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-3 მუხლის („წამების აკრძალვა“) დარღვევას ეხებოდა. ყველა ეს საქმე ეხება 2012 წლის ნოემბრამდე მომხდარ ფაქტებს. მხოლოდ რელიგიური (ბეღელური და სხვები) და სექსუალური უმცირესობების (იდენტობა) ორი საქმე მივიდა სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, რადგან ამ საკითხებზე სასამართლოს გადაწყვეტილება პრეცედენტულ მნიშვნელობას ატარებს და ისინიც 2012 წლის ნოემბრამდე პერიოდის ფაქტებს ეხება. მინისტრმა აღნიშნა, რომ დღეს წამება აღარ არის სისტემისთვის დამახასიათებელი და წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ საბრძოლველად არსებითად სხვა ღონისძიებებზეა ორიენტებული და მიმართულია მიღწეული შედეგის კონსოლიდირებისკენ.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ბატონმა კახი კახიშვილმა ასევე მადლობა გადაუხადა ყველას ვინც მონაწილეობა მიიღო სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადებაში და მიმოიხილა სასჯელაღსრულების სისტემაში წამებასთან/არაადამიანურ მოპყრობასთან ბროლის კუთხით არსებული მდგომარეობა. ბატონმა კახიმ აღნიშნა, რომ მოხდა სისტემაში არსებული პრობლემების სისტემატიზაცია, შესწავლა და ამ მასალაზე დაყრდნობით შემუშავდა სასჯელაღსრულების სისტემის სტრატეგია. მინისტრის პირველმა მოადგილემ, აგრეთვე, ყურადღება გაამახვილა „პატიმრობის კოდექსში“ შესულ ცვლილებაზე, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებას ანიჭებს.

საქართველოს სახალხო დამცველმა, ბატონმა უჩა ნანუაშვილმა ასევე მადლობა გადაუხადა სამოქმედო გეგმაზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის წევრებს და აღნიშნა ის ფაქტი, რომ გეგმის შემუშავების პროცესში თანამშრომლობის ხარისხი სახალხო დამცველის აპარატსა და სახელმწიფო უწყებებს შორის ძალიან მაღალი იყო და რომ სახალხო დამცველის აპარატის თითქმის ყველა მოსაზრება გათვალისწინებულ იქნა გეგმის პროექტში. ბატონმა უჩამ ასევე

განაცხადა, რომ საქართველოში წამება/არაადამიანური მოპყრობა აღარ ატარებს სისტემურ ხასიათს. თუმცა, კვლავ არსებობს გარკვეული პრობლემები მასთან ბრძოლის კუთხით და ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად აუცილებელია პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება. კერძოდ, მისთვის ფოტოგადაღების უკვე მინიჭებული უფლების გარდა, პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციაზე (მათ შორის ოპერატიულ ინფორმაციაზე) დაშვებისა და სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გაცნობის უფლების მინიჭება, როგორც ამას ახალი სამოქმედო გეგმის 2.2.1. აქტივობის სახალხო დამცველი ოფისის მიერ შემოთავაზებული ვარიანტი ითვალისწინებს. ბატონმა უჩამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ კუთხით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და რომ ეს საკითხი მოითხოვს შემდგომ საკანონმდებლო ცვლილებებს, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონში. სახალხო დამცველის მოსაზრებით, მიზანშეწონილია 2.2.1. აქტივობის შემსრულებელ უწყებებს დაემატოს აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ოფისი. ბატონმა უჩამ აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით სხვა შენიშნვა არ გააჩნია.

სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენელმა, ბატონმა ბესო ბოხაშვილმა ითხოვა განმარტება, თუ რა იგულისხმებოდა 2.3.1. აქტივობაში, სადაც საუბარია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის კონცეფციის შემუშავებაზე. კერძოდ, მან ისურვა დაზუსტებულიყო, გულისხმობს თუ არა ეს აქტივობა ცალკე ინსტიტუტის შექმნას, თუ ეს მექანიზმი პროკურატურის შიგნით დარჩება. აგრეთვე, მან დაზუსტება ითხოვა, რამდენად გულისხმობს 1.2.10 აქტივობაში აღნიშნული მოსამართლის როლის გაძლიერება ინკვიზიციურობის ელემენტების შემოტანას. აღნიშნულზე, იუსტიციის მინისტრმა უპასუხა, რომ ეს პუნქტი გულისხმობს ე.წ. „მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპის შემოტანას, რაც ნიშნავს იმას, რომ წამების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს არ ექნებათ სამართლებრივი ძალა. შესაბამისად, აქ იგულისხმება მოსამართლის როლის გაძლიერება და ინკვიზიციურობის ცალკეული ელემენტების და არა მთლიანად ინკვიზიციურობის პრინციპის შემოტანა. აღნიშნულის საფუძველზე, სამოქმედო გეგმაში შესაბამისი დაზუსტების გაკეთება გადაწყდა.

ბატონმა ბესომ ასევე აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, გამოძიებისა და დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის პროცესში არსებობს გარკვეული სირთულე, სისხლის სამართლის კოდექსის 144^1 („წამება“) და 144^3 („დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა“) მუხლებს შორის გამიჯვნასთან დაკავშირებით და რომ მისი ინფორმაციით არ არსებობს 144^3 მუხლის საფუძველზე დაწყებული გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის პრეცედენტი. ამაზე, მთავარი პროკურატურის წარმომადგენელმა, ქალბატონმა მაია კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს და რომ არსებობს ამ მუხლით დაწყებული რამოდენიმე სისხლის სამართლის საქმე და ასევე დამდგარი განაჩენი. მისივე თქმით, იგი მზად არის ეს ინფორმაცია მიაწოდოს ბატონ ბესოს მისი მხრიდან მიმართვის შემთხვევაში. საბჭოს თავმჯდომარემ, პროკურატურის წარმომადგენელს სთხოვა აღნიშნული ინფორმაცია

გაეზიარებინა უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოსთვის, რომელიც უზრუნველყოფს მის მიწოდებას ბატონი ბესოსთვის.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის საკითხზე, იუსტიციის მინისტრმა განმარტა, რომ რომელიმე კონკრეტული მოდელი ჯერ-ჯერობით არ განხილულა მთავრობის დონეზე, თუმცა პოლიტიკური ნება ცალსახაა, რომ გამოძიება უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი. მას შემდეგ რაც კონკრეტული მოდელი დამუშავდება და უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში შეჯერდება, შესაძლებელი იქნება საკითხის მთავრობაზე გატანა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ასეთი მექანიზმის არსებობის აუცილებლობა დავას არ იწვევს და სწორედ ამიტომ ამ საკითხს სპეციალური აქტივობა ეხება სამოქმედო გეგმაში. შესაბამისად, ამ საკითხზე მუშაობა უნდა გაგრძელდეს საბჭოს ფარგლებში და მუშაობის გასაგრძელებლად საჭიროა კვლევის ჩატარება სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესახებ. ქალბატონმა თეამ ასევე აღნიშნა, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისისა და „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ თებერვალში წარდგენილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ კანონპროექტის თაობაზე არც ერთ დაინტერესებულ პირს შენიშვნები არ მოუწოდებია და დაავალა საბჭოს სამდივნოს აღნიშნული შენიშვნების/კომენტარების შეკრება სამი კვირის ვადაში. მინისტრმა აღნიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია არსებობდეს შედარებითი კვლევა, რომელიც სხვა სახელმწიფოების გამოცდილების გაზიარების საშუალებას მისცემს საქართველოს და ამ კვლევამ უპირველესად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოდელები უნდა შეისწავლოს. ქალბატონმა თეამ განმარტა, რომ საჭიროა იმავე ტიპის კვლევა, რაც პროკურატურის რეფორმასთან მიმართებით განხორციელდა და საბჭოს სამდივნოს დაავალა ამ უკანასკნელის გაზიარება საბჭოს წევრებისათვის, რათა ნათელი გახდეს, თუ რა ტიპის კვლევის საჭიროება იგულისხმება.

სამოქმედო გეგმის 2.2.1. აქტივობასთან დაკავშირებით, ბატონმა კახი კახიშვილმა განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მისი უწყება არ არის მზად გაიზიაროს სახალხო დამცველის პოზიცია და მიანიჭოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებს დამატებითი უფლებამოსილება საიდუმლო ინფორმაციაზე (მათ შორის ოპერატიულ ინფორმაციაზე) დაშვებისა და სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გაცნობასთან დაკავშირებით. ბატონმა კახიმ აღნიშნა, რომ ახლახან მოხდა ახალი საკანონმდებლო ნოვაციის შემოღება პატიმრობის კოდექსში, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლებს ვიზიტის დროს ფოტოგადაღების უფლებას ანიჭებს და რომ საჭიროა გარკვეული პერიოდი იმისათვის, რომ მოხდეს სისტემის ადაპტირება ამ ცვლილებასთან, რაც გულისხმობს სასჯელაღსრულების სისტემის პერსონალისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების დატრენინგებას და მათი შესაძლებლობების გაზრდას. ბატონმა კახიმ ასევე აღნიშნა, რომ აუცილებელია ამ პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის დაცვა და რომ ნებისმიერი რეფორმა უნდა გატარდეს ეტაპობრივად. ასევე, ბატონი კახი შეეხო დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის თემას და ეჭვი გამოთქვა ასეთი მექანიზმის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რადგანაც, მისი თქმით, ყველა გამოძიება რომელიც ეხება წამების/არაადამიანური მოპყრობის შესაძლო შემთხვევებს მის უწყებაში, დაუყოვნებლივ იგზავნება მთავარ პროკურატურაში.

ევროსაბჭოს წარმომადგენელმა, ქალბატონმა ნინო გობრონიძემ მადლიერება გამოხატა სამოქმედო გეგმის შემუშავებაში აქტიური ჩართულობის შესაძლებლობისა და რეკომენდაციების უმეტესობის გათვალისწინებისათვის. მან შენიშვნა გამოთქვა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პირების მიმართ მოპყრობის მონიტორინგის კუთხით არსებულ სიტუაციაზე. მისი თქმით, ამჟამად შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში ამ კუთხით არსებული შიდა მონიტორინგის მექანიზმი - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო - ვერ ჩაითვლება ეფექტიანად, რის გამოც, მიზანშეწონილია ამ საკითხის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილესთან, ბატონ გაიოზ თალაკვაძესთან ადგილზე კონსულტაციის შემდეგ გადაწყდა, სამოქმედო გეგმაში აისახოს შიდა მონიტორინგის არსებული მექანიზმის დახვეწის საკითხი, ამ მიმართულებით სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფუნქციების გაფართოების გზით და სამოქმედო გეგმას დაემატა ახალი აქტივობა - 2.1.4.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა ზვიად ოქროპირიძემ ყურადღება გაამახვილა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლების მიერ გადაღებული მასალის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით დამუშავებისა და შენახვის აუცილებლობაზე. მან აგრეთვე შენიშვნა გამოთქვა სამოქმედო გეგმის 2.3.2.5. აქტივობასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილი არ არის მასში საერთაშორისო სტანდარტების კვლევასთან ერთად, მათი იმპლემენტაციაც ეწეროს, რადგან იმპლემენტაცია დამოკიდებულია კვლევის შედეგებზე. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ აღნიშნული აქტივობა არასწორად არის ფორმულირებული და ის არა გამოძიებისა და სასამართლო პროცესებზე საზოგადოებრივ ზედამხედველობას, არამედ ამ პროცესებში მსხვერპლთა ჩართულობის უზრუნველყოფასა და გამჭვირვალობას უნდა გულისხმობდეს, რათა დაცული იყოს მსხვერპლის ლეგიტიმური ინტერესები ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტის (CPT) მე-14 ზოგადი ანგარიშის 36-ე პარაგრაფში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად („In all cases, the victim (or, as the case may be, the victim's next-of-kin) must be involved in the procedure to the extent necessary to safeguard his or her legitimate interests“). საბჭოს სამდივნოს დაევალა აღნიშნული აქტივობის ფორმულირების შეცვლა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველმა მოადგილემ ყურადღება გაამახვილა ქუტირის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებულ მსჯავრდებულთა მკურნალობასა და ბადრაგირებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე და განაცხადა, რომ ეს საკითხი დროულ მოგვარებას საჭიროებს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ, კონკრეტული პირები არიან ჯანდაცვის და არა სასჯელაღსრულების სამინისტროს გამგებლობაში და სასჯელაღსრულების სამინისტროს არ აქვს უფლება მოახდინოს ბადრაგირება. აღნიშნულ საკითხს ეხმიანება სამოქმედო გეგმის პუნქტი 1.2.3. და გადაწყდა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფი მომდევნო კვირას შეიკრიბება, ხოლო საკითხზე გადაწყვეტილების მიღება ორი თვის ვადაში უნდა მოხდეს.

საქართველოს სახალხო დამცველი დაუბრუნდა აქტივობა 2.2.1.-ის ფორმულირების საკითხს და განახცადა, რომ მათ მიერ შემოთავაზებული ფორმულირება გულისხმობს არა აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებს არამედ ამ სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების კვლევას და რომ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ფორმულირება, რომელიც არ ითვალისწინებს პრევენციის ეროვნული მექანიზმისათვის პატიმრების მოპყრობასთან დაკავშირებულ საიდუმლო ინფორმაციაზე (მათ შორის ოპერატიულ ინფორმაციაზე) დაშვებისა და სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გაცნობის უფლების მინიჭებას, არაფერს მატებს სამოქმედო გეგმას, რადგან ასახავს ფოტოგადაღებასთან დაკავშირებით უკვე გაკეთებულ ცვლილებებს და არ წარმოშობს ახალ ვალდებულებებს, რის გამოც, ამგვარი ფორმულირებით სამოქმედო გეგმაში მისი შეტანა აზრს კარგავს და მისი სრული ამოშლაც კი არაფერს შეცვლის. ბატონმა უჩამ ასევე მაგალითად მოიყვანა მსჯავრდებული პირის გადაყვანის საფუძველთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაიდუმლოების საკითხი და განაცხადა, რომ ეს ვითარება უნდა შეიცვალოს და რომ სახალხო დამცველის აპარატს უნდა ჰქონდეს ამ ინფორმაციასთან წვდომა. მან აღნიშნა, რომ საკანონმდებლო დონეზე ეს საკითხი რეგულირებულია, თუმცა პრობლემები იკვეთება პრაქტიკაში ამ რეგულაციების გამოყენების დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის არ ეთანხმება იმას, რომ სამოქმედო გეგმაში შესული სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული აქტივობა 2.2.1.-ის ფორმულირება არის ამოსაშლელი და განაცხადა რომ ამ აქტივობის ასახვა სამოქმედო გეგმაში აუცილებელია. კერძოდ, სამოქმედო გეგმაში უნდა დარჩეს ისეთი ვალდებულებები, როგორიცაა: პრევენციის ეროვნული მექანიზმის მხარდაჭერა, ფუნქციების განმტკიცება, აგრეთვე ამჟამად არსებული თანამშრომლობის და რეკომენდაციებზე რეაგირების ფორმატის გაძლიერება. რეალურად, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ვალდებულებებია და მათი სამოქმედო გეგმაში არსებობა არ შეიძლება შეფასდეს თითქოს ამით ახალი ვალდებულება არ იქმნება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ტექსტში დარჩეს ფოტოგადაღების უფლების მინიჭებისთვის საჭირო რეგულაციების გადახედვაც, რადგან პატიმრობის კოდექსის გარდა შიდა აქტებში იქნება ცვლილებები საჭირო, რის გამოც მნიშვნელოვანია ეს ვალდებულება სამოქმედო გეგმაში ეწეროს. აუდიო ჩაწერის უფლებასთან მიმართებით ბატონმა კახი კახიშვილმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე, ამ უფლების მინიჭებაზე უარი თავად სახალხო დამცველმა განაცხადა, რასაც დაეთანხმა ბატონი უჩა ნანუშვილი. შესაბამისად, 2.2.1. პუნქტის ფორმულირებიდან აუდიო ჩანაწერების გაკეთების უფლების მინიჭების საკითხი მოიხსნა თავად სახალხო დამცველის მიერ.

იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო საჯარო სამართლის დეპარტამენტის უფროსი, ბატონი თეიმურაზ ანთელავა დაუბრუნდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წარმომადგენლის მიერ დასმულ შეკითხვას 1.2.4. აქტივობაში ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს როლთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ ამ აქტივობაში იგულისხმება სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულება, როდესაც ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს თანამშრომელი მივა იმ დასკვნამდე, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პირის მიმართ არასათანადო მოპყრობას. იუსტიციის მინისტრმა დააზუსტა, რომ აქ იგულისხმება მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების შეფასება და არა სამართლებრივი კვალიფიკაციის მიცემა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2.2.1. პუნქტის გარდა იყო კონსენსუსი და ამ აქტივობის საბოლოო ფორმულირებასთან დაკავშირებით გადაწყდა კენჭისყრის ჩატარება. სხდომაზე დამსწრე უფლებამოსილი პირების მიერ კენჭისყრის შედეგად (3 ხმა 2-ის წინააღმდეგ) გადაწყვეტილებით სამოქმედო გეგმაში შევიდა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული ფორმულირება.

სხდომაზე შეთანხმებული ცვლილებების გათვალისწინებით მოხდა გეგმის დამტკიცება კონსენსუსის საფუძველზე.

სხდომაზე აგრეთვე გადაწყდა საბჭოს შემადგენლობაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს მდივნის დამატების საკითხი. ასევე გამოიკვეთა საბჭოს დებულების ნორმების დაზუსტების საჭიროება.

იუსტიციის მინისტრმა განმარტა, რომ დამტკიცებული სამოქმედო გეგმა იქნება ცოცხალი დოკუმენტი და შესთავაზა წევრებს ყოველ 6 თვეში მისი განახლების შესაძლებლობის განხილვა. აგრეთვე, საბჭოს თავმჯდომარე გამოეხმაურა სახალხო დამცველის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ ბოლო პერიოდში გაიზარდა არასათანადო მოპყრობის საკითხებზე სახალხო დამცველის ოფისისადმი მიმართვების რაოდენობა, რის საფუძველზეც გადაწყდა უწყებათაშორისი საბჭოს შემდეგი სხდომის ივნისში, მხოლოდ ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გამართვა. სახალხო დამცველს ეთხოვა საბჭოს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია თუ რა სახის და კატეგორიის შეტყობინებებზე არის საუბარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა შემდეგი საკითხების გათვალისწინებით:

ა) 1.2.3. პუნქტში შემსრულებელ უწყებებს ჩაემატოს საქართველოს უზენაესი სასამართლო;

ბ) 1.2.10. პუნქტი დაზუსტდეს და მიეთითოს, რომ უნდა მოხდეს ე.წ. „მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპის დამკვიდრება (მოსამართლეთა როლის გაძლიერების მიზნით ინკვიზიციურობის გარკვეული ელემენტები);

გ) 1.4.4. პუნქტს დაემატოს შემდეგი ტექსტი: „მათ შორის მათი შესაბამის დაწესებულებებში მოთავსების და მათი მკურნალობის შესახებ რეგულაციების გაუმჯობესება“;

დ) სამოქმედო გეგმას დაემატოს 2.1.4. პუნქტი შემდეგი ფორმულირებით:

„2.1.4. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვის შიდა მონიტორინგის მექანიზმის - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს - ფუნქციების გაფართოება.“

ე) 2.2.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით:

„2.2.1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მხარდაჭერა, მისი ფუნქციების განმტკიცება, პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ფოტოგადაღების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვა; ამჟამად არსებული თანამშრომლობის და რეკომენდაციებზე რეაგირების ფორმატის გაძლიერება.“

ვ) 2.3.2.5. პუნქტის ფორმულირება შეიცვალოს ისე, რომ საზოგადოებრივი ზედამხედველობის ნაცვლად დაფიქსირდეს მსხვერპლის ჩართულობა სამართალწარმოების პროცესში და ამ პროცესის გამჭვირვალობა.

2. საბჭოს სამდივნოს დაევალა:

ა) სამოქმედო გეგმაში საბჭოზე მიღებული ცვლილებების ასახვა და სხდომის ოქმის პროექტთან ერთად მისი საბჭოს წევრებისათვის მიწოდება;

ბ) დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის თაობაზე შემუშავებული პროექტი, რომლის პრეზენტაცია გაიმართა 2015 წლის თებერვალში, დაეგზავნოს ყველა უწყებას და საბჭოს წევრს, რომლებმაც 3 კვირის ვადაში (8 ივნისამდე) სამდივნოს უნდა წარუდგინონ კომენტარები;

გ) პროკურატურის რეფორმის ფარგლებში შემუშავებული შედარებითი კვლევა გაუზიაროს საბჭოს წევრებს, რათა მსგავსი ტიპის კვლევა განხორციელდეს დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმთან დაკავშირებით. შედარებითმა კვლევამ უნდა მოიცვას უმეტესად ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება. კონკრეტული ქვეყნების ჩამონათვალზე შეთანხმება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მოხდეს;

დ) შემდეგ კვირაში ჩანიშნოს სამუშაო ჯგუფის შეხვედრა 1.2.3. პუნქტის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით (ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოხვედრილი მსჯავრდებულების ეტაპირება/ბადრაგირება), რომელიც უნდა შესრულდეს ორი თვის ვადაში.

3. საქართველოს პროკურატურას ეთხოვა 144[3]-ე მუხლის საფუძველზე წარმოებული საქმეების სტატისტიკის საბჭოს სამდივნოსთვის გაზიარება, რომელიც უზრუნველყოფს ამ მონაცემების მიწოდებას გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის საქართველოს წარმომადგენლობისთვის.

4. საბჭოს შემადგენლობას დაემატოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისთვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭოს მდივანი.

5. სამოქმედო გეგმა იქნება ცოცხალი დოკუმენტი და მის გადასახედად შემდეგი შეხვედრა გაიმართოს 6 თვის შემდეგ, რომელზეც პირველ რიგში განხილულ იქნება პუნქტი 2.2.1.

6. ივნისში ჩაინიშნოს საბჭოს სხდომა, რომელზეც განხილული იქნება არასათანადო მოპყრობის თაობაზე სახალხო დამცველის მიმართ შეტყობინებების რაოდენობის გაზრდის საკითხი. სახალხო დამცველს ეთხოვა საბჭოს მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია ამგვარი შეტყობინებების კონკრეტულ სახეებსა და კატეგორიებზე.